გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
17.02.2016	18.02.2016

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს ''გემრიელი გაჩერება'' 405075225
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1374647
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1374647

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნი ნაკვეთი #01.72.14.011.400-ის მიმდებარედ, შესასვლელი გზის და ტერიტორიის მოასფალტების მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, ქ.თბილისის საპატრულო პოლიციის 2016 წლის 12 თებერვლის №20/8–348702 წერილით დადგენილი პირობების შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების დაცვით.
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება

გამოსაყენებელი ტერიტორია. ფართობი: 747 კვ.მ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

№ 2018-348702 „12“ 02 2016 წ.

შ.პ.ს. „გემრიელი გაჩერება“–ს დირექტორს
ბატონ **დავით შველიძეს**
ქ. თბილისი, ე. ამაშუკელის ქ. N24, ბ. 11

თქვენს მ/წლის თებერვლის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს
ბატონ **ლაშა ჯოხაძეს**

გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში, შ.პ.ს. „გემრიელი გაჩერების“ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.011.400, 01.72.14.011.376) მშენებარე ობიექტზე მისასვლელი გზის მოწყობის თაობაზე და ითხოვთ სამუშაოთა წარმოებისა და ა/ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის მ/წლის 10 თებერვლის N4638 წერილობით თანხმობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ მ/წლის 4 თებერვლის N1374647 გადაწყვეტილებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს სამუშაოთა წარმოებისა და ა/ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის თქვენს მიერ წამოდგენილ სქემებს.

სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ აცნობეთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241 85 04, 241 85 05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე თანდართული სქემების შესაბამისად. შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების წარმოება და გაატარეთ ზომები ა.ს.კ 134–ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: “6“ ფურცლად

პატივისცემით,
დეპარტამენტის საორგანიზაციო
სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ცინცაძე

ქ. თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38 Noe Ramishvili St., Tbilisi
ტელ./Tel.: (+995 32) 241 85 02
ფაქს/Fax: (+995 32) 2 41 85 02
E-mail: ushba@mia.gov.ge

საქართველოს სახელმწიფო
დაცვის სპეციალური სამსახურის
ოპერატიული დეპარტამენტი

**OPERATIVE DEPARTMENT
OF THE SPECIAL STATE PROTECTION
SERVICE OF GEORGIA**

№4638

„10“ აგვისტო 2016წ.

ტელ: 2-92-04-90
მობ: 577-30-07-28

შ.პ.ს. „გემრიელი გაჩერება“-ს
დირექტორს დ.შველიძეს

ბატონო დავით,

თქვენი ა.წ. 9 თებერვლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის ხევანში ნაკვეთი №01.72.14.011.400-ის მიმდებარედ საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი და მუდმივი სქემების მიხედვით ტერიტორიაზე შესასვლელი და გამოსასვლელი გზის მოწყობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები ხვდება სამსახურის ინტერესის სფეროში, რის გამოც გთხოვთ, სამუშაოების დაწყების ზუსტი დრო და ხანგრძლივობა შეგვითანხმოთ 24 საათით ადრე, რაც გათვალისწინებული იქნება დაცვითი ღონისძიების სრულფასოვნად წარმართვის პროცესში.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი ნ.დოდაშვილი